

თერმინ ეთნოსის გააზრებისთვის ელინური  
ეპოქის საბერძნეთში  
ON INTERPRETATION OF THE TERM ETHNOS IN GREECE  
OF THE HELLENIC PERIOD

რისმაგ გორდეზიანი  
Rismag Gordeziani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ეთნოსი, ჰეროდოტოსი, ელინური ეპოქის  
საბერძნეთი, პელასგური ენა, დორიელები, ეოლიელები  
**Keywords:** Aya-Colkheti, Kutaisi, Khvamili, Lechkhumi, St. Maximus the  
Confessor Ethnos, Herodotus, Hellenic Greece, Pelasgian Language,  
Dorians, Aeolians

ლექსიკური ფორმატივი ეთნოსი ἔθνος საკმაოდ ხშირად გამოიყენება უკვე ჰომეროსის ეპოსში, თუმცა გეომეტრიულიდან კლასიკურ ეპოქამდე მან არსებითად შეიცვალა მნიშვნელობა. ჰომეროსთან ეს ფორმატივი აღნიშნავს რაღაც ნიშნით გაერთიანებულ ობიექტთა სიმრავლეს. მართალია, ἔθνος-ის ეტიმოლოგია არ არის დადგენილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ჰომეროსთან მას აქვს როგორც კრებითობის, ასევე თითობის გაგება. ამდენად აქ ტერმინმა შეიძინა მნიშვნელობის ის ნიუანსები, რომლებიც ჰომეროსის შემდგომ პერიოდში ტერმინის ძირითადი მნიშვნელობის განმსაზღვრელი გახდა. ჰეროდოტოსთან, როგორც ჩანს, პირველად გვხვდება ეს ტერმინი დღევანდელი გაგებით ნაციის, ეროვნების აღსანიშნად, τὸ Ἑλληνικὸν ἔθνος (I, 58). იმავე მნიშვნელობით გამოიყენებს ტერმინს ისტორიკოსი, როდესაც გადმოგვცემს იმას, თუ როგორ გააერთიანა დეიოკესმა τὸ Μηδικὸν ἔθνος (I, 101). თითოეულ ნაციას შეიძლება ჰყავდეს ეთნიკური ჯგუფები დღევანდელი გაგებით. მათ აღსანიშნად ჰეროდოტოსი ისევ ტერმინ ეთნოსს ან ტერმინ ἔθνος გამოიყენებს. ომში გამარჯვებული ბერძნები მსჯელობენ იმაზე, მედიელების მხარდამჭერი ელინური ტომები ἔθνεῶν Ἑλληνικῶν (IX, 106) როგორ ჩაენაცვლებინათ იონიელებით. I, 101-ში ჰეროდოტოსი ჩამოგვითვლის მედიელების ეთნიკურ ჯგუფებს Μηδῶν ἔθνεα.

ელინური ერთიანობის კონცეფციის შემუშავება საკმაოდ წარმატებით ჰეროდოტოსმა შეძლო: „ელინებს ერთი სისხლი და ერთი ენა აქვთ“. საერთო აქვთ ღმერთების ტაძრები „მსხვერპლშეწირვები და წეს-ჩვეულებები“ (VIII, 144). ჰეროდოტოსი ელინთა ეთნიკური ერთიანობის კრიტერიუმთა ჩამოთვლისას აშკარად მხოლოდ ელინურ რეალობას ითვალისწინებს. იგი ეთნიკური ერთიანობის განმსაზღვრელ რამდენიმე აუცილებელ პირობას ჩამოთვლის: „ერთიანობა სისხლით ანუ გენეტიკა, ენით, რელიგიური წარმოდგენებით და ადათ-წესებით. ყურადღებას იქცევს ის, რომ ჰეროდოტოსის კრიტერიუმებში არ მოხვდა მამული ანუ სამკვიდრებელი ტერიტორია, რაც აშკარად მთელს ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთში ბერძენთა განფენით წარმოქმნილ ვითარებას ითვალისწინებს. რაც შეეხება დანარჩენ კრიტერიუმებს, ჰეროდოტოსთან მათი მნიშ-

ვნელობა გენეალოგიური ტრადიციით თუ ისტორიული ფაქტებით არის არგუმენტირებული.

ლისხლით ერთიანობა ἑμᾶς გულისხმობს ერთ წარმომავლობას, რასაც ჰეროდოტოსი ამყარებს ბერძენთა გენეალოგიურ ტრადიციასთან შეხმიანებით. ἑμᾶς γὰρ გულისხმობს ენობრივ ერთიანობას. მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდოტოსის დროს ბერძენულ სამყაროში მრავალი დიალექტი იყო გავრცელებული, ჰეროდოტოსი ელინური თვითშეგნების განმსაზღვრელ ერთ-ერთ ნიშნად ერთიან ელინურ ენას მიიჩნევს (I, 58). ამასთანავე ჰეროდოტოსმა იცის, რომ ადრე საბერძნეთში ცირკულირებდა სხვა, წინაბერძნული პელასგური ენა, რომელიც ბარბაროსული ანუ არაბერძნული უნდა ყოფილიყო (I, 57). ჰეროდოტოსის აზრით, სწორედ პელასგურ ტომს გამოეყვნენ ელინები (I, 58). ჰეროდოტოსის თვალსაზრისს, ფაქტობრივად, ადასტურებს თანამედროვე ლინგვისტური გამოკვლევები, რომელთა თანახმადაც ბერძნულ ენაში საკმაოდ ქარბადაა პელასგურ-წინაბერძნული ელემენტები, ძველი ბერძნულის ლექსიკონში რამდენიმე ათასი წინაბერძნული ფორმატივი უნდა ფიქსირდებოდეს.

ის, რომ ბერძნებს საერთო აქვთ ღმერთების ტაძრები θεῶν ἱερῶματα, იმდენად ნათელია ყველასთვის, რომ ჰეროდოტოსი ამასთან დაკავშირებულ არგუმენტაციისას არ უთმობს განსაკუთრებულ ყურადღებას.

ჰეროდოტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ἑμᾶς ἡμεῖς, როგორც ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი. ჰეროდოტოსი საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობს ადათ-წესების მნიშვნელობაზე. იგი გვიამბობს პირველი „ეთნოგრაფიული ექსპერიმენტის“ შესახებ, რომელიც თითქოს დარიოსს ჩაუტარებია. მან დაუძახა იმ ელინებს, ვინც მის კარზე იყვნენ და შეეკითხა, რა საფასურით მოინდომებდნენ ისინი თავიანთი დახოცილი მამების შეჭმას. მათ უპასუხეს, რომ არაფრის გულისათვის არ გააკეთებდნენ ამას. შემდეგ დარიოსმა დაუძახა ინდთაგან ეგრეთწოდებულ კალატიებს, რომლებიც მშობლებს ჭამენ და შეეკითხა ელინების თანდასწრებით, რა საფასურით დათანხმდებიან ისინი, რომ გარდა-

ცვლილი მამები ცეცხლს მისცენ. იმათ საშინლად შეჰყვირეს და შესძახეს, ამას რას ლაპარაკობსო. ისტორიკოსი ამგვარ დასკვნას აკეთებს : „აი, ასე წმინდად მიაჩნია ხალხს თავისი წეს-ჩვეულებები და მე ვფიქრობ, სწორედ ამბობდა პინდარე: ადათ-წესები ყველაფრის მეფეაო“ (III, 38).

ჰეროდოტოსთან ტერმინმა *ξθισ* შეიძინა ეთნიკურობასთან დაკავშირებული უნივერსალური მნიშვნელობა და იგი გამოხატავს, როგორც საზოგადოდ ეთნოსს (ერი, ნაცია), ისე მის შემადგენელ ეთნიკურ ჯგუფებს. აქედან გამომდინარე, ეთნოსად წარმოგვიდგებიან როგორც თავად ელინები, აგრეთვე დორიელები, ეოლიელები. ჰეროდოტოსი, როგორც ჩანს, პირველად ისტორიოგრაფიაში ცნებას „ეთნოსი“ საფუძვლიანი შესწავლის ობიექტად აქცევს და მისთვის ყველაზე უფრო ცნობილი ეთნოსის, ელინების, მაგალითზე ცდილობს გამოიკვლიოს, რა ნიშნები განსაზღვრავს ეთნოსის ერთიანობას. ძველადმოსავლური ტრადიციებისგან განსხვავებით, მისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამა თუ იმ ხალხის სახელდება, არამედ ეთნოსის ერთიანობის განმსაზღვრელი თითოეული ნიშნის ანალიზი, რითაც იგი არა მარტო „ისტორიის მამად“, არამედ თანამედროვე ეთნოლოგიისა და ეთნოგრაფიის წინამორბედადაც გვევლინება. ჰეროდოტოსი არ იფარგლება თავის „ეთნოლოგიურ ძიებებში“ მხოლოდ ელინებით და ზოგჯერ იგი ცდილობს იმსჯელოს სხვა ხალხების წარმომავლობაზეც, მაგალითად, კოლხების (II, 104).

ამ შემთხვევაშიც კოლხების, როგორც ეთნოსის, დახასიათებისას იგი იმავე ნიშნებს გამოჰყოფს, რომლებიც ელინთა ერთიანობის განსაზღვრის შემთხვევაში გვქონდა. ა) გენეტიკური – ეგვიპტელების ლაშქრის ნაწილი, ბ) ადათ-წესები (წინადაცვეთა, ცხოვრების წესის მსგავსება), გ) ენა – ენათა მსგავსება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ჰეროდოტოსი ჰომეროსთან გამოყენებულ ფორმატივს *ξθισ* ახალ მნიშვნელობას ანიჭებს და მას ეთნოლოგიური თუ ეთნოგრაფიული შტუდიებისთვის საკვანძო ტერმინად აქცევს.

## ლიტერატურა

- R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, vol I, Leiden - Boston, 2010.
- Rosaria Vignolo Munson, *Herodotus and Ethnicity, A Companion to Ethnicity in the Ancient Mediterranean*, Ed. by Jeremy McInerney, Wiley Blackwell, 2014.
- *A Genealogical Chart of Greek Mythology*, compiled by Harold Newman and Jon O, Newman, The University of North Carolina Press, 2003.
- r. gordeziani, *mediteranul-qartveluri mimartebebi*, II winaberznuli, Tbilisi, 2007;
- 5. Robert S. P. Beekes, Ed. by Stefan Norbruis, *Pre-Greek Phonology, Morphology, Lexicon*, Leiden, Brill, 2014.
- Lewan Gordesiani, Irine Tatišvili, “Einige Bemerkungen zur Ethnizität in den hethitischen Texten”, *And I Knew Twelve Languages : A Tribute to Massimo Poetto on the Occasion of His 70th Birthday*. Edited by Natalia Guzzo and Piotr Taracha, Agade Bis, Warsaw 2019.

The lexical formative ἔθνος (ethnos) occurs quite frequently in the epic of Homer, although it substantially changed its meaning from the Geometric to the Classical period. In Homer’s work, this formative denotes the multitude of objects united by some sign. Although the etymology of ἔθνος is not established, it can be said that Homer uses it with the meaning of collective as well as singleness. Thus, here the term acquired the nuances of meaning which determined the basic meaning of the term in the post-Homer period. It appears that the term with the present meaning of “nation, nationality” was used for the first time by Herodotus - τὸ Ἑλληνικὸν ἔθνος (I, 58). The historian uses this term with the same meaning when he relates how Deioces united τὸ Μηδικὸν ἔθνος (I, 101). Each nation may have ethnic groups in the modern sense. To refer to these, Herodotus again uses the term ethnos or the term γένος. The Greeks who won the war are discussing how to remove the Hellenic tribes ἐθνέων Ἑλληνικῶν (IX, 106) that had sided the Medians and to give their land to the Ionians. In I, 101, Herodotus lists the ethnic groups of the Medians Μηδῶν γένεα.

Herodotus was quite successful in developing the concept of Hellenic unity: "...the kinship of all Greeks in blood and speech, and the shrines of gods and the sacrifices that we have in common, and the likeness of our way of life..." (VIII, 144). Herodotus, in listing the criteria for the ethnic unity of the Hellenes, apparently refers only to the Hellenic reality. He enumerates some essential conditions for defining ethnic unity: the kinship in blood or genetics, language, religious beliefs and customs. It is noteworthy that the criteria of Herodotus did not include the homeland or the territory of residence, which evidently takes into account the situation resulting from the extension of the Greeks in the entire Mediterranean and the Black Sea area. In regards to other criteria, their significance is argued by Herodotus by the genealogical tradition or historical facts. The kinship in blood ὄμαιμον implies common origin, which Herodotus establishes in accordance with the genealogical tradition of the Greeks. ὁμόγλωσσον means unity of the language. Despite the fact that in the times of Herodotus many dialects were spread in the Greek world, he considers the common Greek language as one of the defining features of Hellenic self-consciousness (I, 58). At the same time, Herodotus is aware that earlier another, pre-Greek, Pelasgian language was circulating in Greece, which must have been a barbarian, i.e. non-Greek language (I, 57). According to Herodotus, the Hellenic stock was separated exactly from the Pelasgians (I, 58). This viewpoint is, in fact, confirmed by the modern linguistic studies, which demonstrate that the Greek language contains the Pelasgian-pre-Greek elements quite abundantly, in the Ancient Greek vocabulary several thousand pre-Greek formatives were attested.

The fact that the Greeks have the temples of gods θεῶν ἱδρύματα in common is so clear to everyone that Herodotus does not devote special attention to its argumentation.

Especially important for Herodotus is θυσίαι ἤθηα, as one of the main defining elements of ethnic identity. Herodotus quite interestingly discusses the importance of customs. He relates the first "eth-

nographic experiment”, which was allegedly conducted by Darius. “He summoned the Greeks who were with him and asked them what price would persuade them to eat their fathers’ dead bodies. They answered that there was no price for which they would do it. Then he summoned those Indians who are called Callatae, who eat their parents, and asked them (the Greeks being present and understanding by interpretation what was said) what would make them willing to burn their fathers at death. The Indians cried aloud, that he should not speak of so horrid an act. So firmly rooted are these beliefs; and it is, I think, rightly said in Pindar’s poem that use and wont is lord of all” (III, 38).

With Herodotus, the term ἔθνος acquired the universal meaning related to ethnicity, and it denotes both ethnos in general (nation) and its constituent ethnic groups. Thus, the Greeks proper as well as the Dorians, the Aeolians. Herodotus, evidently, for the first time in historiography, makes the concept ethnos an object of thorough study and on the example of the Greeks, the most familiar ethnos to him, tries to identify which features determine the unity of the ethnos. Unlike the ancient oriental traditions, for Herodotus not only the denomination of one or another people is important, but analysis of each feature of the unity of the ethnos as well. Due to this, Herodotus appears not only as “the father of history”, but also as the precursor of modern ethnology and ethnography. Herodotus in his “ethnological research” is not limited only to the Greeks and sometimes tries to discuss the origin of other peoples too, e.g. the Colchians (II, 104).

In the case of describing the Colchians as an ethnos, he identifies the same features which occurred in determining the unity of the Greeks: a) genetics – part of the Egyptian army, b) customs (circumcision, similarity of lifestyle), c) language – resemblance of the languages. Thus, it can be said that Herodotus imparts new meaning to the formative ἔθνος used in Homer’s work and turns it into a key term for ethnological and ethnographic studies.

## References:

- R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, vol I, Leiden - Boston, 2010.
- Rosaria Vignolo Munson, *Herodotus and Ethnicity, A Companion to Ethnicity in the Ancient Mediterranean*, Ed. by Jeremy McInerney, Wiley Blackwell, 2014.
- *A Genealogical Chart of Greek Mythology*, compiled by Harold Newman and Jon O, Newman, The University of North Carolina Press, 2003.
- R. gordeziani, *mediteranul-qartveluri mimartebebi, II winaberznuli*, Tbilisi, 2007;
- Robert S. P. Beekes, Ed. by Stefan Norbruis, *Pre-Greek Phonology, Morphology, Lexicon*, Leiden, Brill, 2014.
- Lewan Gordesiani, Irine Tatišvili, "Einige Bemerkungen zur Ethnizität in den hethitischen Texten", *And I Knew Twelve Languages : A Tribute to Massimo Poetto on the Occasion of His 70th Birthday*. Edited by Natalia Guzzo and Piotr Taracha, Agade Bis, Warsaw 2019.



სეფარდული ებრაული სამართლის კოდექსის  
შესახებ  
ON THE SEPHARDIC JEWISH CODE OF LAW

ლალი გულედანი  
Lali Guledani

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი

Ilia State University  
Faculty of Arts and Sciences

**საკვანძო სიტყვები:** სეფარდი, აშქენაზი, სამართალი, კოდექსი  
**Keywords:** Sephardi, Ashkenazi, Law, Code